



ATIPfund
GEORGIA

საქართველო, თბილისი 0177

თამარაშვილის ქ. № 15ა

ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 395 350

15a Tamarashvili str.

Tbilisi 0177, Georgia

Tel./Fax: (+995 32) 2 395 350

www.atipfund.gov.ge

**ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების
სახელმწიფო ფონდი**

State Fund for Protection and Assistance of (Statutory) Victims of Human Trafficking



KA030894965730118

№ 07-86/თ

01 / მაისი / 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულების (ფილიალების) შინაგანანგის დამტკიცების თაობაზე“
სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის 2014 წლის 03 დეკემბრის #07-201/თ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის № 146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1. „სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულების (ფილიალების) შინაგანანგის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის 2014 წლის 03 დეკემბრის #07-201/თ ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულების (ფილიალების) შინაგანანგის შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1.1. შინაგანანგის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ფილიალის ყველა თანამშრომელს სასტიკად ეკრძალება სამუშაო ადგილზე ნარკოტიკების ან/და ალკოჰოლური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა, ასევე სიგარეტის მოწევა ფილიალის შენობა-ნაგებობებში, ხოლო, „თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში“ და „კოჯრის შებლუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლში“ ასევე ფილიალების სარგებლობაში არსებულ სხვა ტერიტორიებზე;“;

1.2. შინაგანანგის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის „ვ.ა.“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ.ა) სიგარეტის მოწევა ფილიალის შენობა-ნაგებობებში, ხოლო, „თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში“ და „კოჯრის შებლუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლში“ ასევე ფილიალების სარგებლობაში არსებულ სხვა ტერიტორიებზე;“.

2. დაევალოთ სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულების (ფილიალების) უფროსებს წინამდებარე ბრძანების გაცნობა თანამშრომლებისათვის და ბენეფიციარებისათვის, ასევე ამ ბრძანების თვალსაჩინო ადგილას გამოქვეყნება.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დირექტორი

A handwritten signature in black ink, consisting of a series of loops and a long vertical stroke at the end.

მერი მაღლაფერიძე